ვინც სურა ალ-ქაჰფის პირველ ათ აიათს დაიზეპირებს, ის ცრუ მესიისგან (დაჯჯალისგან) დაცული იქნება». სხვა გადმოცემის თანახმად კი: «სურა ალ-ქაჰფის ბოლოდან

გადმოცემულია აბუ დარდასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც სურა ალ-ქაჰფის პირველ ათ აიათს დაიზეპირებს, ის ცრუ მესიისგან (დაჯჯალისგან) დაცული იქნება». სხვა გადმოცემის თანახმად კი: «სურა ალ-ქაჰფის ბოლოდან».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ვინც დაიზეპირებს სურა ალ-ქაჰფის პირველ ათ აიათს, ის დაცული იქნება ცრუ მესიას ''დაჯჯალის'' ფითნისგან, რომელიც გამოჩნდება ბოლო ჟამს და გამოაცხადებს, რომ ის ღმერთია. ცრუ მესიას ფითნა (ცდომილება) არის ყველაზე დიდი ფითნა, რომელიც მოხდება დედამიწაზე ადამის გაჩენიდან კაცობრიობის აღსასრულამდე; რადგან დიდებული და უზენაესი ალლაჰი მას მისცემს ზოგიერთი სასწაულის ჩადენის უფლებას, რითიც აცდუნებს მასზე მიმყოლ ხალხს, სურა ალ-ქაჰფის პირველ აიათებში არის საოცარი სასწაულები, რომელიც ცრუ მესიას ცდუნებაზე დიდი სასწაულებია ხალხთათვის, და ვინც გაიაზრებს მათ, ცრუ მესია 'დაჯჯალი' ვეღარ აცდუნებს. სხვა გადმოცემის თანახმად კი: ათი აიათი სურა ალ-ქაჰფის ბოლოდან, უზენაესი ალლაჰის სიტყვებიდან: {ნუთუ ჩათვალეს, რომელთაც უარყვეს, რომ დაიდგინონ...}

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/6265